ოქმი:ო135. 13524365001
თარიღი:30/12/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-13

დ. მესტია 25.12. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, გ. გელოვანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ჯაფარიძე, ზ. ფალიანი, თ. დადეშქელიანი, ი. გირგვლიანი, ი. რატიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანი, შ. ცინდელიანი, შ. რატიანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> მ. ჯაფარიძე,

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> გ. დადვანი,ზ. ხარძიანი, ვ, ფილფანი. ლ. პაკელიანი, მ.რატიანი, მ .გელოვანი. ლ. ქალდანი. შ. გულედანი, მ. გოშუანი.

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ს. კვიციანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი ვ. გულედანი. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი თ. გოშთელიანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 33 წევრიდან 22 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“.

/მომხსენებელი: ს. კვიციანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

2. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ "მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

/მომხსენებელი: ს. კვიციანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

3. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე".

/მომხსენებელი: ს. კვიციანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

4. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე".

--- /
მომხსენებელი: ს. კვიციანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ".

--- /
მომხსენებელი: შ. ცინდელიანი/

6. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ".

---/
მომხსენებელი: ს. კვიციანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

7. ,,რეზიდენტი სტუდენტისთვის სარეზიდენტო წლების დაფინანსების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

---/
მომხსენებელი: მ. ნაკანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

8. ,,შპს ,,მესტიის საავადმყოფო ამბულატორიული გაერთიანების" თანამშრომლის აკაკი წერედიანის სასწავლო კურსის,გადაუდებელი მედიცინის სპეციალობაში დაფინანსების თაობაზე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

--- /
მომხსენებელი: მ. ნაკანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

9. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ".

---/
მომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

10. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი".

----------/
მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

11. ,,მესტიიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის, სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

---------- /
მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

12 ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის გახორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

----------/
მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

13. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“.

---------- /
მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

14. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

---------- /
მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

15. “მესტიის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

---------- /
მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

16. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“.

---------- /
მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.
მომხრე----------22
წინააღმდეგი------0
თავი შეიკავა-------0
კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № g-135. 135243604 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქონების გადასახადი წარმოადგენს ადგილობრივ გადასახადს, რომლის შემოღების უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე ქონების გადასახადის წლიურ განაკვეთებში შევიდა ცვლილება: დაბა მესტიაში 0.20 ლარის ნაცვლად განისაზღვროს 0.24 ლარით. მესტიის მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში 0.18 ლარის ნაცვლად განისაზღვროს 0.24 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: შ. ცინდელიანმა-ბიზნეს სექტორზე ქონების გადასახადის ზრდა არ იმოქმედებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------21
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ---- ვ. ფილფანმა

კენჭისყრის შედეგად დაადგინდა, მიღებული იქნას დადგენილება ,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“.

დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება № -23 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ “მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილებები განპიროვნებულია საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 2 481 517ლარი, ასევე დაკორექტირდა ზოგი პროექტის დაფინანსება და ამ განკარგულებით ჯამურად გამოყოფილი 10 095 493 ლარი გადანაწილდა საავტომობილო გზების და ხიდების რეაბილიტაცია-მშენებლობებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------21
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ---- ვ. ფილფანმა

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ "მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დადენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № -16 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულებისთვის გათვალისწინებულია ხელფასების დაახლოებით 10%-ით გაზრდა. მატება შეეხო ყველა მიმართულებით მომუშავე მოხელეებს. 2026 წლამდე საჯარო მოხელეების ხელფასები ყოველ წელს მინიმუმ 10%-ით გაიზრდება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ---- ვ. ფილფანმა, დ. ჯაფარიძემ

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე".

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № - 25თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე".

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ---- ვ. ფილფანმა, დ. ჯაფარიძემ

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების

ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება № -24 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ---- ვ. ფილფანმა, დ. ჯაფარიძემ
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ“.

დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება № -27 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა 2025 წლის ბიუჯეტი დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინა, სკრებულოს წინა სხდომაზე შენიშვნების და მითითებების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანი--მადლობა გადაუხადა ფინანსურ ჯგუფს და მერს გაწეული მუშაობისთვის.

რ. გვარმიანი- საკრებულოს კომისიების და მერიის საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლობით შეიქმნა 2025 წლის ბიუჯეტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება № -26 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ნაკანმა ,,რეზიდენტი სტუდენტისთვის სარეზიდენტო წლების დაფინანსების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა გააცნო შპს ,,მესტიის საავადმყოფო ამბულატორიული გაერთიანებიდან“ შემოსული მომართვა სწავლის დაფინანსების შესახებ. რეზიდენტი ნათია ბოლოთაშვილის და შპს ,,მესტიის საავადმყოფო ამბულატორიული გაერთიანების“ თანამშრომლის, აკაკი წერედიანის სასწავლო კურსის დაფინანსების თაობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბენეფიციარებსა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდება ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც ვალდებული იქნებიან დაფინანსებული წლების რაოდენობის მიხედვით მუშაობა გააგრძელონ ,,მესტიის საავადმყოფოს ამბულატორიულ გაერთიანება“-ში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვდან შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და დაფინანსებული წლების მიხედვით მეორე მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო 50 %-ის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანი-სრულყოფილი სამედიციინო მომსახურეობისთვის აუცილებელია კადრებზე ზრუნვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------22
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,რეზიდენტი სტუდენტისთვის სარეზიდენტო წლების დაფინანსების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № - გ-135. 135243601 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ნაკანმა ,,შპს ,,მესტიის საავადმყოფო ამბულატორიული გაერთიანების“ თანამშრომლის აკაკი წერედიანის სასწავლო კურსის,გადაუდებელი მედიცინის სპეციალობაში დაფინანსების თაობაზე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------22
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,შპს ,,მესტიის საავადმყოფო ამბულატორიული გაერთიანების“ თანამშრომლის აკაკი წერედიანის სასწავლო კურსის,გადაუდებელი მედიცინის სპეციალობაში

დაფინანსების თაობაზე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № - გ-135. 135243602 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო სამუშაო გეგმა, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების მიერ მოწოდებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანი--მოუწოდა მეტი მუშაობისკენ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № - გ-135. 135243605 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულო ერთი წლის ვადით ამტკიცებს სოციალური დახმარების გაცემის წესს, ყოველი წლის ბოლოს სამსახურის შეუფერხებელი მუშაობისთვის მტკიცდება, რომელიც ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ცვლილება შეეხო ონკო პაციენტებს და ფსიქოლოგიურად დავადებულთ, რომლებიც საჭიროებენ ქვეყნის გარეთ მკურნალობას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი“.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № - 22 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის, სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება,
,,მესტიიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის, სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № - 21 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება,
,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № - 20 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცამეტე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს დაკმაყოფილდა ერთი ბენეფიციარი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება,
,,მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № - 19 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთოთხმეტე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გაეროს კონვენციის პარალელურად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს "საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" იცავს, რომლის საფუძველზეც, 2020 წელს "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტი" დამტკიცდა. იქიდან გამომდინარე, რომ პერსონალური ასისტენტის სერვისი საქართველოში ახალი დანერგილია და მისი პილოტირება ჯერ მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს, არსებობს რიგი საკითხებისა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის ბუნდოვანია.

პერსონალური ასისტენტის სერვისი – მომსახურება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, აგრეთვე განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა--კმისიამ განიხილა საკითხი, მიესალმა სიახლეს და აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების მიღწევის გზაზე, პერსონალური ასისტენტის სერვისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება,
,,მესტიის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № - 18 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთუთხმეტე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა "მესტიის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პერსონალური ასისტენტის სერვისის დამატებასთან დაკავშირებით საბჭოს დებულებაშიც შევიდა ცვლილება, პერსონალური ასისტენტის მომსახურების ქვეპროგრამის შესაბამისად განიხილოს პერსონალური ასისტენტის მომსახურების მოთხოვნით შემოსული განცხადებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, "მესტიის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № - 17 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთექვსმეტე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № - გ-135. 135243611 თან ერთვის)

ზაურ ჩართოლანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი